საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის I კვარტლის

ანგარიში

ახალ შენობაში გადასვლის გეგმის ფარგლებში შესრულებული სამუშაო I კვარტალი

ანგარიში ასახავს შესრულებულ სამუშაოს 2024 წლის 1 იანვრიდან 31 მარტამდე

მთავარი შენობა (ბლოკი A)

- ფასადის სისტემების მონტაჟი 100%-ით დასრულდა. მინა დამონტაჟებულია 99%-ით;
- კვამლგამყვანი სისტემის საჰაერო მილების დამონტაჟება მიმდინარეობს - შესრულებულია 60%-ით;
- დასრულებულია საკაბელო დამხმარე სისტემების (უჯრების) მონტაჟი შენობის ყველა სართულზე (ელექტრო და IT სისტემები) 100%-ით;
- ხანძარსაწინააღმდეგო კარადების მონტაჟი დასრულებულია 98%-ით;
- დასრულებულია შიდა საკანალიზაციო სისტემის და სანიტარული სისტემების მილების მონტაჟი 100%-ით;
- ხანძარსაწინააღმდეგო კარადების მონტაჟი სრულდება 98%-ით;
- 100%-ით დასრულებულია შიდა საკანალიზაციო სისტემის და სანიტარული სისტემების მილების მონტაჟი;
- 99%-ით დასრულებულია ვენტილატორის/ფანკოილის მონტაჟი და მილსადენი;
- დეკორატიული წითელი კონსტრუქციის მონტაჟი და შეღებვა 100%-ით დასრულებულია;
- აკუსტიკური მოპირკეთების მასალები და კარები მიწოდებულია ადგილზე 30%-ით;
- ყველა დონეზე თაბაშირის მუყაოს ტიხრების სამონტაჟო სამუშაოები სრულდება 98%-ით;
- მიმდინარეობს სამუშაოები იატაკის მოჯიმვის დამონტაჟებაზე ყველა დონეზე - შესრულებულია 90%-ით;
- 90%-ით სრულდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური დეფორმაციული ნაკერების დაცვის სისტემების მონტაჟი;
- კვამლ გამყვანი გარე სავენტილაციო სისტემის დამონტაჟებისთვის, A ბლოკის სახურავზე, მიმდინარეობს ხვრელების ამოჭრა - შესრულებულია 95%-ით;
- დაწყებულია სართულების შორის შიდა იატაკის ღიობების სამუშაოები - შესრულებულია 40%-ით;
- ყველა სართულზე მინის ტიხრების მონტაჟი დასრულდა 100%-ით;
- მიმდინარეობს შეთანხმება, შენობების ელექტრო ფურნიტურის და ნათურების საბოლოო დეკორატიული და მოსაპირკეთებელი მასალების გამოყენებაზე;
- დასრულებულია მოსამზადებელი სამუშაოები სამზარეულოს და შენობის ავეჯის ტექნოლოგიური აღჭურვილობის კოორდინაციისთვის. დაწყებულია ლიფტების სამონტაჟო სამუშაოები - შესრულებულია 20%-ით;
- მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები შენობის საბოლოო მოპირკეთებისთვის, იატაკისა და აკუსტიკური ჭერის ჩარჩოების დამონტაჟებაზე ყველა დონეზე - შესრულებულია 60%-ით;
- სამუშაო განხორციელდა დამკვეთის კორექტირების გათვალისწინებით არქიტექტურულ და საინჟინრო ნაწილებზე.

პავილიონები (ბლოკი B)

- დასრულებულია საბათქაშე სამუშაოები და გარე კედლების იზოლაცია 99%-ით;
- სამუშაო სრულდება თაბაშირის მუყაოს კედლის ჩარჩოების და ტიხრების დამონტაჟებაზე - შესრულებულია 99%-ით;
- სამუშაოები დასრულებულია (No1-No4) პავილიონის მემბრანული სახურავის დამონტაჟებაზე -100%-ით. ჩატარდა შემოწმება ჰერმეტულობაზე;
- შიდა დამიწების მარყუჟის მონტაჟი დასრულდა 100%-ით;
- ფასადის სისტემების დამონტაჟებაზე სამუშაო დასრულებულია 99%-ით;
- შეთანხმებულია აკუსტიკური დაცვის მასალები 100%-ით;
- ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მილების მონტაჟი 98%-ით დასრულებულია;
- დასრულებულია საკაბელო დამხმარე სისტემების მონტაჟი (100% უჯრა);
- საჰაერო მილების მონტაჟი და ხმის იზოლაცია დასრულებულია 95%-ით;
- დასრულდა კედლებისა და ჭერის ლითონის კონსტრუქციების მონტაჟი, თაბაშირის მუყაოს და აკუსტიკური სისტემების მოსაწყობად 100%-ით;
- დასრულებულია თაბაშირის მუყაოს კედლების და სტუდიის აკუსტიკური მოპირკეთებით ტიხრების მონტაჟი 99%-ით;
- დასრულებულია თაბაშირის მუყაოს პირველი და მეორე ფენის მცოცავი ჭერის სისტემების მონტაჟი 100%-ით;

სამუშაო განხორციელდა დამკვეთის მიერ კორექტირების გათვალისწინებით არქიტექტურულ და საინჟინრო ნაწილებში.

არქივი (ბლოკი C)

- რკინაბეტონის კარკასი არის შესრულებული ადრე დამტკიცებული დოკუმენტაციის მიხედვით 100%-ით;
- შემავალი ჯგუფისთვის რკინაბეტონის კონსტრუქციების მონტაჟი დასრულდა 100%-ით. ლიფტების მონტაჟისთვის მოსამზადებელი სამუშაოები დასრულდა (კარების ღიობები არ არის გაფართოებული) 80%-ით;
- შეთანხმებულია დამცავი სისტემისთვის სპეციალური შესანახი თაროების აღჭურვილობა;
- იატაკის, კედლებისა და ტიხრების მონტაჟის დასრულების სამუშაოები პროექტის შესაბამისად დასრულდა 100%-ით.

დამხმარე შენობა (ბლოკი D)

- შენობის რკინაბეტონის კარკასის და სახურავზე ჩილერების დასაყენებელი საძირკვლის სამონტაჟო სამუშაოები და ჩილერების მონტაჟი დასრულებულია 100%-ით;
- მემბრანული სახურავის სამონტაჟო სამუშაოები დასრულებულია, ჩატარდა ტესტირება 100%-ით;
- დასრულდა საქვაბე ოთახის ქვაბების აღჭურვილობის და მილების საბოლოო მონტაჟი 100%-ით;
- საპროექტო პოზიციაზე განხორციელდა ობიექტის სახანძრო ტუმბოების და წყალმომარაგების ტუმბოების მონტაჟი 98%-ით;

- დამტკიცებულია და შეკვეთილია დიზელის გენერატორის კომპლექტები და მოწყობილობები ელექტრომომარაგებისა და საკომუნიკაციო სისტემებისთვის;
- დასრულებულია რკინაბეტონის მიწისქვეშა გვირაბის მშენებლობა ელექტრომომარაგების სისტემების კომუნიკაციების დასამონტაჟებლად 100%-ით. მიმდინარეობს შიდა საინჟინრო კომუნიკაციების მონტაჟი - შესრულებულია 60%-ით;
- დასრულებულია საკაბელო ხაზების მონტაჟი გარე ელექტრომომარაგების გაყვანილობისათვის.

ავტოსადგომი (ბლოკი E)

- შენობის კარკასის რკინა-ბეტონის მოწყობა დასრულებულია 100 %-ით;
- მიმდინარეობს დარჩენილი სამუშაოების შესრულება რკინა-ბეტონის კონსტრუქციის დამონტაჟებაზე და სადგომის პარაპეტების და შემოღობვის ნულოვან ნიშნულზე - შესრულებულია 98%-ით;
- განხორციელდა მილსადენების და ცეცხლსაქრობის სისტემის და კარადების მონტაჟი - შესრულებულია 90%-ით;
- საკაბელო სისტემებისთვის უჯრების დაყენება დასრულებულია 50%-ით.

უსაფრთხოების ოთახი (ბლოკი G)

- კონტრაქტორმა დაასრულა თხრილის და საძირკვლის ფილის გამაგრება და შენობის კარკასის მშენებლობა 100%-ით;
- მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები დეკორატიული წითელი კონსტრუქციის დამონტაჟებისა და ფასადების მოპირკეთების მიზნით;

გარე ქსელები

- ობიექტის ქალაქის კომუნიკაციებთან დასაკავშირებლად მომზადდა საჭირო ტექნიკური მახასიათებლები. მიღებულ იქნა ელექტრომომარაგების გაყვანილობის (ორი შეყვანის), გაზმომარაგების, წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების გაყვანის ტექნიკური მახასიათებლები. მიღებულია ტექნიკური სპეციფიკაციები საკომუნიკაციო პროვაიდერის ქსელებისა და ინტერნეტის დასაკავშირებლად;
- დასრულდა ელექტროგადამცემი ხაზების მონტაჟი ელექტრომომარაგებისთვის 100%-ით;
- ე. მინდელის ქუჩიდან გადასასვლელის მოწყობაზე მიმდინარეობს სამუშაო, ქალაქის გაზსადენი არის მოხსნილი 100%-ით;
- დასრულებულია სამუშაოების ნაწილი ინტერნეტ პროვაიდერის ოპტიკური კაბელის შეყვანის დამონტაჟებაზე (დასრულებულია მიწისქვეშა გადასასვლელი და დამონტაჟდა ჰილზები);
- დასრულებულია გაზმომარაგების სისტემასთან გარე მიერთება, დამონტაჟდა მოხმარების აღრიცხვის მოწყობილობა და დამცავი ავტომატიკა 100%-ით;
- ღობის ასაშენებლად საჭირო კოორდინაცია დასრულებულია შესაბამის მონაწილეებთან და მერიასთან შეთანხმების საფუძველზე.

შინაარსობრივი მიმართულებები - პირველი არხი
I კვარტალი



მაუწყებლობის 26% დაეთმო მხატვრულ ფილმებს

მნიშვნელოვანი სიახლეები

■ ისტორიული მატჩის, ისტორიული ტელეეთერი

26 მარტს საქართველოში ტელეყურების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა, საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩს წუთში საშუალოდ 1,061,767 მილიონი ნახვა ჰქონდა.

ბმული

■ იმედა დარსალიას პირველი არხის წინააღმდეგ სარჩელის დაკმაყოფილებაზე სასამართლომ უთხრა უარი

იმედა დარსალიას საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ სარჩელის დაკმაყოფილებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სრულად ეთქვა უარი.

ბმული

■ ახალი ქართული სერიალი "მსხვერპლი"

24 მარტიდან პირველი არხის მიერ შექმნილი ახალი ქართული სერიალი „მსხვერპლი" დაიწყო, რომელიც ბრიტანული პროექტის ქართული ანალოგია.

ბმული

„რანინა“ - VII სეზონი

23 მარტიდან პირველ არხზე „რანინას“ VII სეზონი დაიწყო.

ბმული

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე

პირველი არხი ყოველ წელს ერთვება დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში, აქტუალური თემების გაშუქებით და ორგანიზაციული აქტივობებით.

ბმული

ოლიმპიური თამაშები - ლიცენზიების შესყიდვა

2026-2030 წლების ზამთრის და 2028-2032 წლების ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს მაყურებელს საქართველოს პირველი არხი ექსკლუზიურად შესთავაზებს.

ბმული

Eurovision Sport

ყველაზე მასშტაბური სპორტული სტრიმინგ პლატფორმა Eurovision Sport უკვე 1tvplay.ge-ზე.

ბმული

რადიოს მსოფლიო დღე

13 თებერვალს რადიოს მსოფლიო დღე აღინიშნა. 2024 წელს რადიოს მსოფლიო დღის მთავარი იდეა იყო - ინფორმირების, განათლებისა და გართობის ერთი საუკუნე.

ბმული

"სმურფების" ჩვენება

პირველი არხის ორგანიზებით სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ბენეფიციარი ბავშვებისთვის ქართულ ენაზე გახმოვანებული ანიმაცია „სმურფების“ ჩვენება გაიმართა.

ბმული

„მეოთხე ბრაიტონი“ კინოგაქირავებაში

პირველი არხის თანამონაწილეობით შექმნილი ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ იტალიის კინოგაქირავებაში გამოვიდა.

ბმული

ონლაინმედია

პირველი არხის გადაცემების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ მედიაპროდუქტი მაქსიმალურად იყოს გავრცელებული სოციალური ქსელების მეშვეობით და სამიზნე აუდიტორიამდე მიღწეული, კონტენტი დივერსიფიცირდა სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტიკტოკი, იუთუბი). გარდა ამისა, რამდენიმე გადაცემას აქვს თავისი ფეისბუქ გვერდი შესაბამისი სამიზნე აუდიტორიით, სადაც ქვეყნდება ამ გადაცემებიდან ვიდეო/ფოტო. კვლავ გრძელდება მათგან საუკეთესო კონტენტის განთავსდება პირველი არხის მთავარ გვერდზე, სადაც ამ პერიოდის განმავლობაში ვიდეოების საერთო ნახვაა - 42,4 მილიონი; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 3,2 მილიონი; გვერდს დაემატა 36 200 გამომწერი.

1tv.ge საიტის სტატისტიკა

	I კვარტალი 2024	IV კვარტალი 2023
ნახვა	8,500,000	10,000,000
საშუალოდ დღეში ნახვა	93,500	109,000
მაქსიმალური მაჩვენებელი	664,500	219,000
	26 მარტი 2024	16 ნოემბერი 2023

იუთუბარხების სტატისტიკა

	I კვარტალი 2024	IV კვარტალი 2023
ნახვა	29,500,000	27,700,000
საშუალოდ დღეში ნახვა	328,000	302,000
მაქსიმალური მაჩვენებელი	605,000	410,000
	26 მარტი 2024	15 ნოემბერი 2023

1TVPLAY

- 160 000 რეგისტრირებული მომხმარებელი
- 5 000 000 ნახვა

TikTok

- პირველი არხის TikTok გვერდს 2024 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ჰყავს 90,785 გამომწერი.
- ვიდეოებს ჯამში აქვს 2.9 მილიონი მოწონება.

Instagram

- პირველი არხის Instagram გვერდს 2024 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ჰყავს 54,335 გამომწერი.

„1TV.GE NEWS“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 904,900;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 73,000.

გვერდს დაემატა 10,400 გამომწერი.

„პირველი არხი სპორტი“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 11 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 797,800.

გვერდს დაემატა 14300 გამომწერი.

„პირადი ექიმი“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 1 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 41,900.

გვერდს დაემატა 2100 გამომწერი.

„აკუსტიკა“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 1,6 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 207,700.

გვერდს დაემატა 3800 გამომწერი.

„რეალური სივრცე“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 910,300;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 55,000.

გვერდს დაემატა 2300 გამომწერი.

„ამ შაბათ-კვირას“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 1,6 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 102,600.

გვერდს დაემატა 2800 გამომწერი.

„ახალი დღე“
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 3,5 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 255,700.

გვერდს დაემატა 4900 გამომწერი.

იურიდიული სამსახურის ანგარიში

ხელშეკრულებების შესახებ

2024 წლის I კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 176 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2024 წლის I კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	**შპს "სტუდია ფონოგრაფი"**	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი **არ დაკმაყოფილდა.** - თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი **არ დაკმაყოფილდა** და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში. - სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნება საკასაციო საჩივარი
2	**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი **არ დაკმაყოფილდა.**
3	**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	_ მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად. _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი **არ დაკმაყოფილდა.**
4	**მარიამ სონიშვილი**	ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი **არ დაკმაყოფილდა.**
5	**ირაკლი აბსანძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი **არ დაკმაყოფილდა.**
6	**იმედა დარსალია**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი **არ დაკმაყოფილდა.** _ მოსარჩელის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში. მიმდინარეობს საქმის განხილვა.

7	**თამთა ჯანაძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
8	**სოფიო ზედელაშვილი**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
9	**არაზ მაშოვი**	დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და ხელფასის გათანაბრება თავდაპირველ ანაზღაურებასთან	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი **არ დაკმაყოფილდა.** _ გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.
10	**ქეთევან პოპიაშვილი და ნანა ჩარკვიანი**	საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის გამო, კომპენსაციის გადახდის დაკისრება	_ საქმე დასრულებულია მორიგებით თბილისის საქალაქო სასამართლოში განხილვის ეტაპზე.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2024 წლის I კვარტლის განმავლობაში:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	**შპს "პრაიმ თაიმი"**	24 633,81 ლარის ოდენობით საიჯარო ქირის ძირითადი ფულადი დავალიანების, ასევე, დარიცხული პირგასამტეხლოს ანაზღაურება	_ საქმეზე შპს "პრაიმ თაიმი"-ს წინააღმდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მოპასუხის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, რაც თბილისის საპელაციო სასამართლოს მიერ **არ დაკმაყოფილდა.** - ამ ეტაპზე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სასამართლოსგან მოითხოვა ძირითადი თანხის დაკისრების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაცემა.
2	**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭო**	ინდ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა და ახალი აქტის გამოცემა	_ სასამართლოს 20.11.2020წ. განჩინებით, რომელიც სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ჩაბარდა 2021 წლის 28 აპრილს (5 თვის დაგვიანებით), სარჩელი ცნობილი იქნა დაუშვებლად, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. თუმცა, ამ ეტაპამდე, უცნობია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის საჩივართან დაკავშირებით.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია საქმეები სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შემდეგი მოვალეების მიმართ: **შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს, შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის", შპს "S.T. იმპორტი"-ს, შპს "აიბი გრუპი"-ს, შპს "მედია ჯგუფი"-ს, შპს ტელეკომპანია "პიკ"-ის, შპს "საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე"-ს, შპს "საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი"-ს, შპს "ამპლიტუდა"-ს, შპს "გრინ ბილდინგი"-ს, შპს "კრეატივ ქორნერი"-ს, შპს "დუტა პროდაქშენ"-ის, შპს "ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი"-ს, ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"-ს, შპს "პიართაიმი"-ს, შპს "ბიოფუდჯორჯია"-ს, ა(ა)იპ "ინტეგრაცია - გზა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ", შპს "ტიფლის ტვ"-ის, შპს "რადიო უცნობის", შპს"Georgian Water & Company" და შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ (თუმცა, შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ, სასამართლოს განჩინებით, სააღსრულებო წარმოება ერთჯერადად გადაიდო 3 თვის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განახლდა სააღსრულებო წარმოება, თუმცა სააღსრულებო წარმოება 2022 წლის იანვარში კვლავ გადაიდო განსაზღვრული ვადით, რადგან სასამართლო იხილავს შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის განცხადებას საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამ ეტაპამდე ჩვენთვის უცნობია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ).**

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს **18,05,2010წ. განჩინებით)**, აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა მხოლოდ **1 403,23 ლარის** ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს "სქაი ჯორჯია"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ შპს "სქაი ჯორჯია"-სთვის **14 318,01 ლარის** დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **15,11,2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.** მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, **მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიეღო გადაწყვეტილება 14 318 01 ლარის ოდენობით შპს "სქაი ჯორჯიას" მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე. სასამართლოს მიერ ჩატარდა კრედიტორთა კრება. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში. 2024 წლის 27 მარტს ჩატარდა მორიგი კრედიტორთა კრება საქალაქო სასამართლოში და შპს "სქაი ჯორჯიას" აქტივების მოძიების მიზნით რიგი ღონისძიებების ჩატარების გამო კრება გადაიდო და ჩატარდება 2024 წლის 29 აპრილს.**

<u>საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ</u>

2024 წლის I კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" განცხადება არ შემოსულა.

სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2024 წლის I კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2024 წლის I კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

სხვა საკითხების შესახებ

იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს სხვადასხვა სახის დოკუმენტებს (წერილებს, ბრძანებებს, მემორანდუმებს, შესაბამის აქტებს, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს და ა.შ.).

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის I კვარტლის ანგარიში ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2024 წლის I კვარტლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 50,968,379 ლარი.

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ 2024 წლის I კვარტლის განმავლობაში ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 23,136,493 ლარი. აქედან, 20,733,756 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, ხოლო - 2,402,737 ლარი კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2024 წლის I კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეული ჯამური საკასო ხარჯი შეადგენდა 22,732,423 ლარს.

2024 წლის I კვარტლის დასაწყისში მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 63,583,725 ლარს, ხოლო I კვარტლის დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 63,683,250 ლარი.

2024 წლის I კვარტლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა	%
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	191,418	179,683	11,735	93.9%
საერთო და ადმინისტრაციული	2,144,096	1,545,598	598,498	72.1%
ახალი და მიმდინარე ამბები	3,387,125	3,194,170	192,955	94.3%
მედია	4,783,783	2,868,620	1,915,163	60.0%
ტექნიკური ხარჯი	3,030,419	2,327,762	702,658	76.8%
ონლინ მედია	416,656	312,929	103,726	75.1%
სხვა სამაუწყებლო ხარჯი	3,015,518	2,762,133	253,385	91.6%
საინვესტიციო ხარჯები	28,830,685	5,268,287	23,562,398	18.3%
ფინანსური ხარჯი	5,168,678	4,273,240	895,438	82.7%
მთლიანი ბიუჯეტი:	**50,968,379**	**22,732,423**	**28,235,956**	**44.6%**

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2024 წლის I კვარტლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 28 მლნ. 235 ათასი ლარით ნაკლები, რაც ძირითადად გამოწვეულია საინვესტიციო ხარჯის სხვაობით.

შრომის ანაზღაურება

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2024 წლის I კვარტლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 8,632,237 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8,084,221 ლარი. ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა ბიუჯეტთან შედარებით 548 ათასი ლარით ნაკლები შეადგინა.

2024 წლის I კვარტლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება ბლოკების მიხედვით:

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა	%
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	191,418	179,683	11,735	93.9%
ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი	781,331	761,443	19,888	97.5%
ახალი და მიმდინარე ამბები	2,827,285	2,738,208	89,077	96.8%
მედია	2,445,770	2,245,268	200,502	91.8%
ტექნიკა და ტექნოლოგიები	2,070,378	1,896,047	174,331	91.6%
ონლაინ მედია	291,056	263,571	27,484	90.6%
სხვა ფინანსური ხარჯი	25,000	-	25,000	
ჯამი:	**8,632,237**	**8,084,221**	**548,016**	**93.7%**

შრომის ანაზღაურება

მივლინება

2024 წლის I კვარტლის ბიუჯეტით განსაზღვრული სამივლინებო ხარჯი შეადგენდა 326,290 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 213,015 ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 31,474 ლარით ნაკლებია.

სამივლინებო ხარჯები სამსახურების მიხედვით:

	გეგმა	ფაქტი	სხვაობა	%
ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი	32,243	14,280	17,963	44.2%
ახალი და მიმდინარე ამბები	203,170	121,369	81,801	59.7%
მედია	89,627	77,276	12,351	86.2%
ტექნიკა და ტექნოლოგიები	1,250	90	1,160	7.2%
ჯამი:	326,290	213,015	113,275	65.3%

მივლინება



ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად:

საინვესტიციო ხარჯები

2024 წლის I კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 5,268,287 ლარის კაპიტალური ხარჯები:

ახალი შენობის მშენებლობა	4,756,407
ტექნიკური აღჭურვა	36,272
არამატერიალური აქტივი	472,708
სხვა საინვესტიციო ხარჯი	2,900

ფინანსური ხარჯები:

2024 წლის I კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 4,273,240 ლარის კაპიტალური ხარჯები:

საგადასახადო ხარჯი	590,265
სესხი მომსახურება	3 554,083
სხვა ფინანსური ხარჯი	128,893

ლიცენზიები

მაუწყებლის მიერ 2024 წლის I კვარტლის განმავლობაში სპორტული ლიცენზიების შესყიდვაზე გადახდილ იქნა 2,383,727 ლარი.

სპორტული ლიცენზიები
UEFA/FIFA 2022-2028
EURO 2024
FIBA 2022-2025
ოლიმპიადა Paris 2024
Olympic Games 2026-2032
წყალბურთი - ევროპის ჩემპიონატი
ძიუდო - ევროპის ჩემპიონატი
ძიუდო - თბილისი გრანდ სლემი
ძალოსნობა - მსოფლიო ჩემპიონატი
სნოუბორდის მსოფლიო ჩემპიონატი

კომერციული შემოსავლები

2024 წლის I კვარტლის განმავლობაში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საკუთარი სახსრებით მოზიდულმა თანხამ შეადგინა 2,402,737 ლარი. აღნიშნული თანხიდან სასპონსორო-სარეკლამო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იყო 265,365 ლარი; საიჯარო შემოსავალმა შეადგინა 13,341 ლარი; სხვა არასაოპერაციო და ფინანსურმა შემოსავალმა - 2,123,219 ლარი.

სარეკლამო/სასპონსორო შემოსავალი	265,365
რეკლამა	136,488
სპონსორობა	119,502
პროდაქტ ფლეისმენტი	9,375
იჯარა და ტექ. მომსახურება	13,341
საარქივო მომსახურება	812
სხვა არასოპერაციო და ფინანსური შემოსავლები	2,123,219
ჯამი	**2,402,737**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2024 წლის I კვარტლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N1.

დანართი 1

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2024 წლის საკასო ხარჯები
საანგარიშგებო პერიოდი: 01,01,2024 -31,03,2024
ვალუტა: ლარი

კოდი	ანგარიში	ჯამი
4-0-0-00	სამეურვეო საბჭო	304,546
4-1-0-00	სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარი	210,427
4-2-0-00	სხვა ხარჯი	94,119
4-2-1-00	აპარატის ხელფასი	28,550
4-2-2-00	მივლინება	207
4-2-3-00	საკონსულტაციო ხარჯი	64,780
4-2-4-00	სხვა ხარჯები სამ.	582

კოდი	ანგარიში	ჯამი
1-0-0-00	საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	13,190,895
1-1-0-00	გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	179,683
1-1-1-00	შრომის ანაზღაურება	179,683
1-1-1-01	გენერალური დირექტორის სამსახური	51,375
1-1-1-02	შიდა აუდიტი	15,000
1-1-1-03	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	56,871
1-1-1-04	იურიდიული სამსახური	56,438
1-2-0-00	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,545,598
1-2-1-00	შრომის ანაზღაურება	761,443
1-2-2-00	მივლინება	14,280
1-2-3-00	მარკეტინგი	9,149
1-2-4-00	კომუნალური ხარჯები	326,904
1-2-5-00	ავტოპარკი	265,039
1-2-6-00	საოფისე ხარჯი	166,225
1-2-7-00	წარმომადგენლობით ხარჯი	2,558
1-3-0-00	ახალი და მიმდინარე ამბები	3,194,170
1-3-1-00	შრომის ანაზღაურება	2,738,208
1-3-2-00	მივლინება	121,369

1-3-3-00	უცხოური საინფ. სააგ/სიგნალის გადმოგორება	132,628
1-3-4-00	ბიზნეს პარტნიორი	201,965
1-4-0-00	მედია	2,868,620
1-4-1-00	შრომის ანაზღაურება	2,245,268
1-4-2-00	მივლინება	77,276
1-4-3-00	გარეწარმოება	311,977
1-4-7-00	შესყიდვები მედია	234,099
1-5-0-00	ტექნიკური ხარჯი	2,327,762
1-5-1-00	შრომის ანაზღაურება	1,896,047
1-5-2-00	მივლინება	90
1-5-3-00	ვებ მაუწყებლობის და სიგნალის გავრცელების ხარჯები	314,802
1-5-4-00	სხვა არასაინვესტიციო ხარჯი	116,822
1-6-0-00	ონლაინ მედია	312,929
1-6-1-00	შრომის ანაზღაურება	263,571
1-6-2-00	ონლაინ მედიის შესყიდვები	49,358
1-7-0-00	სხვა სამაუწყებლო ხარჯი	2,762,133
1-7-1-00	ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევროს ხარჯი	151,710
1-7-2-00	სატელევიზიო ფორმატები	111,678
1-7-3-00	სიგნალები და სპორტული სააგენტოები	104,643
1-7-4-00	სპორტული ლიცენზიები	2,383,727
1-7-5-00	ქართული ფილმები	10,375
2-0-0-00	საინვესტიციო საქმინობაზე გაწეული ხარჯი	5.268.287
2-1-0-00	ახალი შენობის მშენებლობა	4,756,407
2-1-1-00	მშენებლობის ხარჯები	4,549,332
2-1-2-00	ზედამხედველობის ხარჯი	207,075
2-2-0-00	ტექნიკური აღჭურვა	36,272
2-2-2-00	კომპიუტერული ტექნიკა	36,000
2-2-3-00	სტუდიური აპარატურა	272
2-3-0-00	არამატერიალური აქტივი	472,708
2-3-1-00	მექანიკური პროდუქცია	472,708
2-4-0-00	სხვა საინვესტიციო ხარჯი	2,900
2-4-1-00	სტუდიის დეკორაცია	2,900

3-0-0-00	ფინასური ხარჯი	4.273.240
3-1-0-00	საგადასახადო გადასახდელები	590,265
3-1-1-00	დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის)	590,000
3-1-4-00	მოგების გადასახადი	265
3-2-0-00	სესხის მომსახურება	3,554,083
3-3-0-00	სხვა ფინანსური ხარჯი	128,893
3-3-3-00	კომპენსაცია/სხვა დავალიანებები	128,893
	სულ ხარჯი	**22,732,423**